ჩვენი გაზეთი იუბილარია, 90 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

90 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №14 (7091) 15 ივნისი 2023 წელი

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან...

მზია ვერულაშვილი-80

გილოცავთ!

თერჯოლის ღვაწლმოსილ პედაგოგს, მზია ვერულაშვილს 80 წელი შეუსრულდა.

მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო ჩხიკვაძესა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელ ქეთევან შეყრილაძესთან ერთად ღვაწლმოსილ პედაგოგს დაბადების დღე სკოლაში მიულოცა, განათლების სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და სასკოლო ცხოვრებაში წარმატებები უსურვა.

მზია ვერულაშვილი ქუთაისის პედაგოგიურ უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა, აქტიურად ჩაერთო საგანმანათლებლო საქმიანობაში და ჩხარის №2 საჯარო სკოლაში დღემდე ჩვეული ენერგიითა და პროფესიონალიზმით ემსახურება საყვარელ საქმეს.

იმავე დღესვე, სკოლის მოსწავლეებმა მხატვრული ღონისძიება გამართეს, სადაც პატივისცემა, სითბო და სიყვარული გამოხატეს პედაგოგის მიმართ.

შეხვედრას მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოში ძევრი-ჩხარისა და გოგნის მაჟორიტარი დეპუტატი მანუჩარ ფანჩულიძე დაესწრო.

ნინოობა და ბავშვთა დაცვის ლამაზი დღე თერჯოლაში

☞3

„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო!“

☞4, 5, 8

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან...

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

საცხოვრებელი სახლები სოციალურად დაუცველებს...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოციალურად შეჭირვებული ათი ოჯახისათვის სახლების მშენებლობა აქტიურ ფაზაშია.

მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილთან ერთად სახლების მშენებლობასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებს ადგილზე გაეცნო და მშენებლებს ვადებისა და ხარისხის დაცვის შესახებ ესაუბრა.

შეგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, ადგილობრივ ბიუჯეტში სახლდაზიანების პროგრამის ეფექტური მუშაობისთვის გამოყოფილი თანხა გაიზარდა, რომლის ფარგლებში ამჟამად ათი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მიმდინარეობს.

გარდა აღნიშნულისა, თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოციალური მიმართულებით, საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2023 წლის პროგრამის ფარგლებში, მერიამ რამდენიმე ბენეფიციარს საყოფაცხოვრებო ტექნიკაც გადასცა.

პროგრამის მიზანია, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სამიზნე ჯგუფს დაეხმაროს სხვადასხვა პირველადი საჭიროების მქონე ნივთების შეძენაში. ამ მიმართულებით შემოსულ განცხადებებს, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება განიხილავს.

ადგილზე გამართულ სამუშაო შეხვედრებს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო ჩხიკვაძე, სიქთარვა-ახალთერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი ჯემალ ისაკაძე, ღვანკითისა და რუფოთის მაჟორიტარი დეპუტატი შალვა ჭანკვეტაძე, ასევე მერიის შესაბამისი სამსახურები ესწრებოდნენ.

თავასა-თუზის დამაკავშირებელი გზა

თავასა-თუზის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა უახლოეს დღეებში დასრულდება.

საგზაო ინფრასტრუქტურის მონიტორინგის ფარგლებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო ჩხიკვაძესთან ერთად თუზი-თავასის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა და პროექტის ხარისხისა და ვადების დაცვის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღო.

ამ დროისთვის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტი მოიცავს არმირებული ბეტონის საფარისა და სანიაღვრე არხების მოწყობას, რომლის დასრულების შემდეგ გადაადგილება უსაფრთხო და კომფორტული გახდება.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ჯეო როუნდ ინვესტი“ ახორციელებს.

„დარისპანის გასაჭირი“ დიდი მწერლის კარმიდამოში...

ამ დღეებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმში „თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმისა“ და „გლობალ თეატრის“ მონაწილეობით გაიმართა სპექტაკლი „ დარისპანის გასაჭირი“.

წარმოდგენას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები დავით გოგბერაშვილი და ჯემალ ისაკაძე, ასევე სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ხელმძღვანელმა პირებმა თეატრალური დასის წარმომადგენლებსა და ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადეს და წარმატებული საქმიანობა უსურვეს.

კლასიკოსმა, სახალხო მწერალმა დავით კლდიაშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ დრამატურგიაში. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა კომედია „დარისპანის გასაჭირმა“, რომელიც წარმატებით იდგმება ქართული თეატრის სცენაზე. ნაწარმოები, მოგვითხრობს თუ როგორ დაატარებს დარისპანი ოთხი გასათხოვარი ქალიშვილიდან ერთ-ერთს მეგობრებსა და ნათესავებში, რათა როგორმე უპოვოს შესაფერისი სასიძო და უზრუნველყოს მისი მომავალი.

სპექტაკლის რეჟისორია—დენ ჯოხაძე.

თეატრალურ წარმოდგენას მერიის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი გურამ თურქაძე, ასევე მუზეუმის დირექტორი ლალი ღვინეფაძე და ადგილობრივები ესწრებოდნენ.

ღონისძიება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერითა და პატრონაჟით გაიმართა.

სავარჯიშო ტრენაჟორები ათ ლოკაციაზე...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიზნით, აქტიურად მიმდინარეობს სავარჯიშო ტრენაჟორების მოწყობა.

მიმდინარე წელს, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, სპორტული კონსტრუქციების მოწყობის პროექტი, რომელიც მოსახლეობის თხოვნით დაიგეგმა, 10 ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდება.

ამ დროისთვის, სპორტული ტრენაჟორების მოწყობა დასკვნით ეტაპზეა სოფელ კვახჭირში, ჭოგნარსა და გოდოგანში.

სამუშაოები მიმდინარეობს: რუფოთის, ალისუბნის, ზედა სიმონეთის, ქვედა სიმონეთის, გოგნის, ღვანკითის და ბარდუბნის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

ამ მუნიციპალური პროექტის მიზანია სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, სპორტში ახალგაზრდების მასობრივი ჩართულობა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

ქართული პოლიციის დღე...

31 მაისს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებთან, დავით გოგბერაშვილთან და ნინო ჩხიკვაძესთან ერთად პროფესიული დღე შინაგან საქმეთა სამინისტროს თერჯოლის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებს მიულოცა.

„მინდა განსაკუთრებული პატივისცემით მოგილოცოთ პროფესიული დღე!

მადლობას გიხდით ღირსეული და თავდაუზოგავი შრომისთვის. ჩვენს თანამოქალაქეებზე ზრუნვა და მათი უსაფრთხოების დაცვა უდიდესი პასუხისმგებლობაა, რასაც ერთგულად და მაღალი პროფესიონალიზმით ასრულებთ. წარმატებებს გისურვებთ, როგორც სამსახურებრივ, ასევე პირად საქმიანობაში”—აღნიშნა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ პოლიციელებთან შეხვედრისას.

ნინოობა და ბავშვთა დაცვის ლამაზი დღე თერჯოლაში

სიმბოლურად ერთმანეთს გადაჯაჭვულმა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღემ და წმინდა ნინოს დღესასწაულმა კიდევ ერთი ბედნიერი დღის მოწმენი გახადა თერჯოლელი გოგო-ბიჭები, დიდები თუ პატარები.

დღესასწაული ტრადიციული ლამაზი აქტივობით დაიწყო. ქალაქის ცენტრში თერჯოლის სამხატვრო საგანმანათლებლო სკოლის აღსაზრდელები, სკოლის დირექტორთან, ქალბატონ თამარ ღარიბაშვილთან და პედაგოგებთან ერთად ქუჩაში გამოვიდნენ და ასფალტზე შესრულებული ნახატები მიუძღვნეს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. პირველ ივნისს საგანგებოდ მორთულ-გალამაზებულ საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვებს ჰქონდათ შესაძლებლობა ლამაზ გარემოში უფროსების ჩართულობით ზეიმისა და მხიარულებისა.

ეს დღე განსაკუთრებული იყო მათთვის, ვისაც ჰქონდა შესაძლებლობა მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში ბავშვთა საერთაშორისო დღისა და წმინდა ნინოს დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დასწრებოდა ან მასში მონაწილეობა მიეღო. ძნელია გადმოცე ის განცდა და ემოცია, რისი გამოწვევაც შეძლო ულამაზესმა სანახაობამ, რომლის შემოქმედნიც ცენტრის წრეებისა თუ კლუბების პედაგოგები და აღსაზრდელები იყვნენ.

„ვაზისა ჯვრითა“

მაყურებლებით გადავსებულ დარბაზში ტევა არ არის. ლამაზად გაფორმებული სცენა სულ მალე მონაწილეებით აივსება. მანამდე კი ცენტრის ხელმძღვანელი ნინო ოქრუაძე ბავშვთა დღესა და წმინდა ნინოს დღესასწაულს ულოცავს დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას.

საგალობლის ფონზე სცენას ნორჩი მონაწილენი იკავებენ, პირველი ულამაზესი ემოცია მუსიკალურ-ლიტერატურულ კომპოზიციას მოაქვს, „მოდიოდა ნინო მთებით, მოდიოდა და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...“ და ეს განცდა ღონისძიების დასრულებამდე გრძელდება.

13 წლის ბავშვი იყო ნინო, როცა შემოვიდა უცხო ქვეყანაში, რომელიც განანათლა. **„ვაზისა ჯვარითა იქმოდა სასწაულებს წმინდანი, ორივე ფრთა ვაზისა სამეფო დინასტიასა და ეკლესიის სიძლიერეს თანაბრად იცავდა და როცა შეირყა სიძლიერე მათი, ორივე ფრთა დაიხარა და ასე დააბრძანეს სიონში—სამარადჟამოდ კურთხევით“**... დიახ, ეს დღე სასწაულია, ასაკით ბავშვმა, გონებით ზრდასრულმა, რწმენით ამაღლებულმა განანათლა ჩვენი მამული...

მას უფალი მოუძღვებოდა დედულეთში, ღვთისმშობლის წილ ქვეყანაში...

სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებიან მომღერალ-მოცეკვავეები, თუ მხატვრულ-ლიტერატურული კომპოზიციის მონაწილენი. ყველა ნომერი ერთიმეორეზე საუკეთესოა და მაყურებელთა აპლოდისმენტები არ წყდება.

დიახ, ესენი ანუ ბავშვები „თავად არიან სიხარული, ბედნიერება, ღიმილი, სითბო, იმედი და ქვეყნის მომავალი“... მათი სურვილია: „ყველა ბავშვი იყოს ბედნიერი, ყველას ჰქონდეს ოჯახი, იყოს გარემოცული მზრუნველი, საყვარელი ადამიანებით“; „მზეს ჰგავს ბედნიერი ბავშვი... უკიდეგანოდ აფრქვევს ღიმილს და სიხარულს“; „ბავშვობა სანამ ბავშვი ხარ, მაშინ უნდა ნახო და მერე მთელი სიცოცხლე იმით უნდა იცოცხლო“;

მამული, ენა სარწმუნოება

სცენაზე უკვე კურსდამთავრებული გოგო-ბიჭები არიან... მათი ბავშვობის ბოლო ზარი მოსწავლეთა ცენტრში სწორედ ბავშვთა საერთაშორისო დღეს დაირეკა.

დავულოცოთ მათ გზა ბავშვობიდან სიჭაბუკისკენ...

მრავლისდამტევ სცენარს აფხაზი და ოსი ბავშვებისთვის მილოცვა არ დავიწყებია. „იანგულივით გამოურიყავს ბედი ქართლის შავი ზღვის ზვირთებს, ეს სანაპირო ნიკოფსიითგან, რამდენ ვარამს და გასაჭირს იტევს“.

„ჩვენ ერთი სამშობლო გვაქვს საქართველო“...

შემდეგ იყო შეხსენება, რომელიც ყოველ ქართველს გულისფიცარზე უნდა ეწეროს: „მამული, ენა, სარწმუნოება“... მისი მოვლა-პატრონობის გარეშე „რაღა კაცნი ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას“...

იყო ლამაზად, ემოციურად წაკითხული სტრიქონები, როცა ჩვენი ქვეყნის ტკივილიანი ისტორიაც თითქოს თვალწინ გადაიშალა, სურვილიც გაცხადდა იმისა, რომ „ყველა დუშმანს, როგორც უწინ, გზა თევდორემ გაუკვალოს“ და გაფრთხილებას: „ღმერთმა ჭირი გვაშოროს და შოთას ფრესკა არვინ შალოს... ეი, ბიჭო, სამშობლოსთან არაფერი შეგეშალოს!“

„სიცოცხლე ჩემი არც დედისაა და არც მამისა, სამშობლოს ეკუთვნის“—ბრძანა დიდმა ილიამ, ასე იყო, ასე არის და ასე იქნება... იმედიანად ამბობენ ღონისძიების მონაწილენი და სამშობლო საქართველოს პოეტის ულამაზესი ლექსის სტრიქონებით ეფერებიან: „საქართველოო ლამაზო, სხვა საქართველო სად არი“.

* * *

ღონისძიება მართლაც საზეიმო, ლამაზი, შემეცნებითი და დასამახსოვრებელი გამოვიდა, ეს თითოეული მონაწილისა და მათი პედაგოგების, ცენტრის დირექციისა და თითოეული თანამშრომლის მუხლჩაუხრელი შრომის, უდავოდ დიდი ძალისხმევით იქნა მიღწეული...

არაჩვეულებრივმა სცენარმა, კარგად გააზრებულმა და მომავალი თაობისთვის უდავოდ საჭირო და ღრმაშინაარსიანმა სტრიქონებმა ვფიქრობ, გულგრილი არავინ დატოვა.

ყველაფერი, რაც ითქვა და მხატვრული ნომრებით შესრულდა ერთ უმთავრეს და დიდ მიზანს ემსახურება: ჩვენი მომავალი თაობა ქვეყნის საიმედო ცვლად გაიზარდოს ეს იყო, არის და მომავალშიც იქნება მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მუდმივი ზრუნვის საგანი...

ღონისძიებას მუნიციპალიტეტის მერი, მოადგილესთან მირზა ქოჩიაშვილთან, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილთან, ნინო ჩხიკვაძესთან, საკრებულოს დეპუტატ ელისო მურადაშვილთან და თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

მანუჩარ რობაქიძემ ნინოობა და ბავშვთა დაცვის დღე მიულოცა, ჯანმრთელობა და შემდგომი წარმატებები უსურვა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის აღსაზრდელებსა და პედაგოგებს, აგრეთვე დარბაზში შეკრებილ საზოგადოების წარმომადგენლებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უფროსების, ხელისუფლების წარმომადგენელთა ყველა ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს იმისაკენ, რომ თითოეულ ბავშვს ჰქონდეს ნორმალური ცხოვრების, განათლების, სიხარულის და ბედნიერების უფლება.

* * *

სცენაზე ზეიმი გრძელდება, გრძელდება კულისებშიც, ყველას სცენა ვერ დაიტევს ბუნებრივია, ახლა ყველა მონაწილე ბედნიერი, მხიარული სახეებით ცეკვავს და მღერის...

მართლაც დაუვიწყარი დღე შედგა. თავდაუზოგავად გაისარჯნენ და საუკეთესო იყო ცენტრის თითოეული კლუბისა თუ წრის მიერ წარმოდგენილი ნომრები.

აი ისინიც:

ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების შემსწავლელი კლუბი, კოორდინატორი რუსუდან კოვზირიძე;

ფოლკლორული ანსამბლი „იმედი“, კოორდინატორი ზურაბ რიჟამაძე;

ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიკონი“, ხელმძღვანელები: ვიტალი და მანუჩარ ლაღაძეები, ზაურ სვანიძე;

ბავშვთა უფლებების დაცვის კლუბი, კოორდინატორი ნათია გამყრელიძე;

მხატვრული კითხვის კლუბი, „ნეკა“, კოორდინატორი ლალა კუპატაძე;

ქართული ენის კლუბი, კოორდინატორი მაკა ონიანი;

კულინართა კლუბი, კოორდინატორი ლელა თორთლაძე;

ინგლისური ენის შემსწავლელი კლუბი, კოორდინატორი თეონა პეტრიაშვილი;

თვითმმართველობის დარბაზი, თამარ ჭანტურიძე, ანა რობაქიძე.

ღონისძიებას ლამაზი სასიმღერო ნომრებით შეუერთდა თერჯოლის №2 საჯარო სკოლის გოგონათა ანსამბლი ინეზა ბუცხრიკიძის ხელმძღვანელობით.

ღონისძიება გაალამაზეს და მეტი ხიბლი შესძინეს სტუმარი ბავშვების: „იმედის სხივის“ აღსაზრდელების; ქვ. სიმონეთის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეების გიორგი ცხელიშვილის, ნინო მაჩიტიძის; ბარდუბნის საჯარო სკოლის მოსწავლის მარიამ გვენეტაძის; ნახშირღელის საჯარო სკოლის მოსწავლეების და-ძმა ეკა და ავთო ხეცაძეების მიერ შესრულებულმა სიმღერებმა.

შესანიშნავად გაართვეს თავიანთ ფუნქციას თავი წამყვანებმა და ყველა მონაწილემ, რომლებიც მრავლად იყვნენ ჩართულნი ღონისძიებაში.

ეს თითოეული მათგანის, აგრეთვე დარბაზში მყოფი ბავშვების, თითოეული თერჯოლელის საზეიმო დღეა.

უღრუბლო ზეცას და ნათელ მომავალს ვუსურვებთ თერჯოლელ და სრულიად საქართველოს ბავშვებს.

მზია ცქიფურიშვილი

„ჩონგური საქართველოა,

რეპორტაჟი

საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ორგანიზებული პროექტის—„ჩონგური საქართველოა“, დასკვნითი ნაწილი ღია ცის ქვეშ, სპორტის სასახლის მიმდებარე სკვერში გაიმართა. ღონისძიებაზე დათქმულ დროზე თითქმის ერთი საათით ადრე მივედი და არც არაფერი დამიკარგავს. ვნახე, როგორ შემოდიოდნენ მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლების პედაგოგიური კოლექტივები, მოსწავლეები, მშობლები და იკავებდნენ სკვერში წინასწარ შერჩეულ ადგილებს. ვესაუბრე სკოლის დირექტორების, პედაგოგების ერთ ნაწილს, მივიღე მრავალი ინფორმაცია თუ როგორი ენთუზიაზმით მუშაობდნენ პროექტზე, თვალს ვადევნებდი კუთხეების მოწყობის საოცარ სანახაობას. სწორედ აქ ითქვა, რომ ღონისძიების მზადების დროს ზოგი მონაწილე პირველად გაეცნო, ზოგმა გადაიმეორა და ყველამ ზეპირად ისწავლა აკაკი წერეთლის ცნობილი პოემა „ნათელას“ ერთი ნაწილი „ნათელას სიმღერა“, იგივე „ჩონგურს სიმები გავუბი“, ეს სიმღერა ხომ იმთავითვე გადავიდა ხალხში და ხალხურ სიმღერად იქცა, სიმღერად აქციეს იგი პროექტის „ჩონგური საქართველოა“ მონაწილეებმა და ეს სიმღერა და სხვა სიმღერებიც ისმოდა ყველა კუთხეში. მონაწილენი გამსჭვალულნი იყვნენ პატრიოტიზმით, სამშობლოს „გასაკვირველი“ გრძნობით. ყური მიუგდეს და გააცნობიერეს ამაღლებული სიტყვები: „შევუხმატკბილოთ ერთმანეთს“, „ერთი მეორის თანხმობით“, „ერთი მათგანიც რომ გაწყდეს მაშინვე უნდა შველაო“, „სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი“, „და ჩვენ რად ვმღერით ცალ-ცალკე“, „ერთობა ჩვენთვის ტახტია“...

თბილისი—ჩხარის №1 და ქვედა სიმონეთის №1 საჯარო სკოლები

ქართლი—კვახჭირის და ჭოგნარის საჯარო სკოლები

ფშავ-ხევსურეთი—ალისუბნის №2 და ჩხარის №2 საჯარო სკოლები

კახეთი—თერჯოლის №2, ქვ. სიმონეთის №2 და ღვანკითის საჯარო სკოლები

რესურსცენტრის მიერ ასეთი ღონისძიებების მოწყობა არ არის თითზე ჩამოსათვლელი, ყოველწლიურად ხორციელდება პროექტი, მაგრამ წლევანდელს, პროექტის სახელწოდებიდან „ჩონგური საქართველოა“ გამომდინარე, სხვა დატვირთვა ჰქონდა, სხვა სულისკვეთება, სულისკვეთება—საქართველოს დამოუკიდებლობის განცდის. მონაწილეებმა და არა მარტო მონაწილეებმა, ზეპირად ისწავლეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, მისი შვიდი პუნქტი, გამოცხადებული თბილისში, სასახლის თეთრ დარბაზში 1918 წლის 26 მაისს, კვირას, ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთზე.

* * *

პროექტის ფარგლებში შედეგების შეჯამებამდე და დასკვნით ღონისძიებამდე სკოლებში გაიმართა მრავალი კონკურსი და აქტივობა. კონკურსები: პრეზენტაციების, ხატვის, კალიგრაფიის, ესეების, ინტელექტუალური, აგრეთვე მინი კონფერენცია, მხატვრული კითხვის საღამო, თეატრალური შუადღე, ღია გაკვეთილები.

პრეზენტაციების კონკურსი: ჩატარდა ორ ეტაპად, მეცხრე-მეთორმეტე კლასების მოსწავლეთათვის. რაიონულ ეტაპზე მონაწილეობდა 14 მოსწავლე. გამოვლინდა 3 გამარჯვებული: ნინო მაჩიტიძე—ქვედა სიმონეთის №1 სკოლა, მარიამ უფლისაშვილი—თერჯოლის №1 სკოლა, ელა ერგემლიძე—ალისუბნის თემის №1 სკოლა.

ხატვის კონკურსი: ჩატარდა ორ ეტაპად ორ ასაკობრივ ჯგუფში პირველი-მეექვსე და მეშვიდე-მეთორმეტე კლასების მოსწავლეთათვის. რაიონულ ტურში მონაწილეობდა 27 მოსწავლე. გამოვლინდა 5 გამარჯვებული: ილია ამბროლაძე-სოკოლოვი-თერჯოლის №1, მილანა დივაკი—თერჯოლის №2, ნინო ქაშაკაშვილი—ახალთერჯოლა, ანანო კლდიაშვილი—ბარდუბანი, სესილი ამბროლაძე—ნაგარევი, ანა ბერძული—ნახშირღელე.

კალიგრაფიის კონკურსი: ჩატარდა ორ ეტაპად, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში: პირველი, მეორე, მესამე-მეოთხე, მეხუთე-მერვე, მეცხრე-მეთორმეტე კლასების მოსწავლეთათვის და პედაგოგებისათვის. რაიონულ ტურში მონაწილეობა მიიღო 36-მა მოსწავლემ და 11-მა მასწავლებელმა. მოსწავლეებს შორის გამოვლინდა 12 გამარჯვებული: დაჩი საყვარელიძე, ანანო ქოჩიაშვილი—თერჯოლის №2, ბარბარე ქურცაძე—ღვანკითი, ნუცა ფორჩხიძე—სიქთარვა, ნია მექვაბიძე, ანანო კორტი—ზედა საზანო, არჩილ დოლაკიძე—თერჯოლის №1, მათე ფორჩხიძე—ძევრი, ელენე ლანჩავა—ნახშირღელე, ელა ერგემლიძე, მარიამ ხუჯაძე—ალისუბნის თემის №1, ანა აბულაძე—ჩხარის №2. მასწავლებლებს შორის—3 გამარჯვებული: ნატო ჩხაბერიძე—თერჯოლის №1, მაკა ჭანტურიძე—ახალთერჯოლა, ლელა კვეტენაძე—ზედა საზანო.

ესეების კონკურსი: ჩატარდა მეცხრე-მეთორმეტე კლასების მოსწავლეთათვის, ორ ეტაპად. რაიონულ ეტაპზე მონაწილეობა მიიღო 16-მა მოსწავლემ. გამოვლინდა 5 გამარჯვებული: ნინი რობაქიძე—თერჯოლის №1, ნინი მაცაბერიძე—თერჯოლის №1, ლიზი დვალი—თერჯოლის №2, ნინო აბჟანდაძე—ახალთერჯოლა, ტარიელ კირკიტაძე—მზეკაბანი.

მინი კონფერენცია: ჩატარდა პედაგოგებისთვის. მონაწილეობა მიიღო თვრამეტმა პედაგოგმა, რომელთაც გადაეცათ სიგელები, კონფერენციებში წარმატებული ჩართულობისთვის.

მხატვრული კითხვის კონკურსი: ჩატარდა ორ ეტაპად, მეშვიდე-მეთორმეტე კლასების მოსწავლეთათვის და პედაგოგთათვის. რაიონულ ტურში მონაწილეობა მიიღო 32-მა მოსწავლემ და 13-მა პედაგოგმა. მოსწავლეებში გამოვლინდა 5 გამარჯვებული: ლუკა რობაქიძე—თერჯოლის №1, მარიამ კუბლაშვილი—თერჯოლის №2, ნინი გავაშელაშვილი—ღვანკითი, დალი თარგალაძე—თუზი, ანა კუბლაშვილი—მზეკაბანი, მასწავლებლებში გამოვლინდა 4 გამარჯვებული: რამაზ ლორთქიფანიძე—გოგნი, თამარ ამირანაშვილი—თერჯოლის №1, მანანა კუპატაძე—ალისუბნის თემის №1, მანანა წერეთელი—მზეკაბანი.

ინტელექტუალური კონკურსი: ჩატარდა ორ ეტაპად, მეცხრე-მეთორმეტე კლასების მოსწავლეთა ჩართულობით. რაიონულ ეტაპზე მონაწილეობა მიიღო 21 სკოლის გუნდმა. პირველი ადგილი—„მზეკაბანი-2007“, მეორე ადგილი—ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლა, მესამე ადგილი—ნაგარევის საჯარო სკოლა. აღნიშნული გუნდების მონაწილე მოსწავლეები (15 მოსწავლე) დასაჩუქრდნენ კახეთის სამდღიანი ექსკურსიით.

თეატრალურ შუადღეში მონაწილეობის მიზნით, სკოლებმა წარმოადგინეს სპექტაკლის ვიდეოჩანაწერი, რომლის ხანგრძლივობაც არ აღემატებოდა 10-15 წუთს. რაიონულ ეტაპზე სპექტაკლი წარმოადგინა შვიდმა სკოლამ. გამოვლინდა 3 გამარჯვებული, ქალაქ თერჯოლის №1, ახალთერჯოლის საჯარო და კერძო სკოლა „მზეკაბანი 2007“-ის სპექტაკლები. თერჯოლის №1 საჯარო სკოლის სპექტაკლის, „მე ვხედავ მზეს“ მთავარი როლის შემსრულებელს, ანანო ბუცხრიკიძეს, გადაეცა სიგელი და ბიბლუსის 50 ლარიანი ვაუჩერი, როლის საუკეთესო შესრულებისთვის.

ღია გაკვეთილების კონკურსში მონაწილეობდნენ სხვადასხვა საგნის პედაგოგები (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, მე და საზოგადოება, გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება, ინგლისური ენა, რუსული ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, ისტორია, მუსიკა). მუნიციპალიტეტის ფარგლებში სულ ნაჩვენები იყო 22 ღია გაკვეთილი. ღია გაკვეთილების კონკურსში გამარჯვებულ 14 პედაგოგს (ასმათ ჩიტორელიძე,

☞5

სიმები ჩვენ ვართ ყველაო!“

4☞

რუსუდან ბოგვერაძე—თერჯოლის №1, ნორა ჩუბინიძე—„მზეკაბანი-2007“, სოფიკო ვაშაკიძე—სიქთარვა, ქრისტინე კაპჭელაშვილი, ნინო ამბროლაძე, ხათუნა აბუთიძე—გოდოგანი, ანერი აბესაძე—რუფოთი, მადონა ჭანტურიძე—ზედა საზანო, ლალი ნემსაძე—ახალთერჯოლა, იზოლდა ვარდოსანიძე—თერჯოლის №2, დარეჯან ჭანტურიძე, თეა რიჟამაძე—ღვანკითი, შორენა ტაბატაძე—ჩხარის №2 გადაეცათ სიგელები, კალენდარი და ბიბლუსის 50 ლარიანი სასაჩუქრე ბარათები.

დასკვნითი ღონისძიება

ღონისძიების პირველი ნაწილი საკრებულოს შენობის წინ გაიმართა, ღონისძიება გახსნა და მთელი მისი მსვლელობა მიჰყავდა პროექტის სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს ქეთევან შეყრილაძეს. ქალბატონი ქეთევანი, რომელსაც ყველა ღონისძიების მომზადებაში გვერდით უდგას თანამშრომლები, აფასებს ამ ერთად ყოფნას, ერთი მიზნისათვის თავდაუზოგავ შრომას, ერთიან თანამოღვაწეობას.

რესურსცენტრის ხელმძღვანელმა მოკლედ, მაგრამ ყოვლისმომცველად ისაუბრა პროექტის მუშაობის დეტალებზე, სკოლების დამოკიდებულებაზე პროექტის განხორციელების პროცესში, მადლობა გადაუხადა სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებს, მონაწილე პედაგოგებს, მოსწავლეებს, შეაფასა მათ მიერ ჩატარებული შრომატევადი სამუშაო და შედეგიც დადგა, რაც ღონისძიების მთელმა მსვლელობამ დაადასტურა. ქალბატონმა ქეთევანმა მადლობა გადაუხადა კონკურსების შემფასებელი კომისიის წევრებს იმ შრომატევადი საქმიანობისათვის, რაც მათ გასწიეს კონკურსების ობიექტურად შეფასება-შეჯამების პროცესში.

მანვე განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელ მუშაკებს თანადგომისა და მხარდაჭერისათვის.

ქალბატონ ქეთევანს დროდადრო ცვლიდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები (ხელმძღვანელები: გოჩა, ირინა ჭანკვეტაძეები).

სიტყვა წარმოთქვა მამა ქრისტეფორემ, მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე გია ბარათაშვილმა, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს ღონისძიებას და შეფასებები და მადლობა კუთხეების დათვალიერებისას არაერთხელ თქვეს. ღონისძიებას ესწრებოდა მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები დავით გოგბერაშვილი, ჯემალ ისაკაძე, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები, სხვა მოწვეული სტუმრები, გამვლელ-გამომვლელნიც კი.

„სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი“

ღონისძიებამ შემდეგ იქვემდებარე სკვერში გადაინაცვლა. აქ კი სულ სხვა სანახაობა და განწყობა იყო. თითოეული სკოლისათვის კენჭისყრით შერჩეული საქართველოს კუთხეები უკვე მზად იყო. თბილისი—ჩხარის №1 და ქვედა სიმონეთის №1 საჯარო სკოლა. ქართლი—კვახჭირის და ჭოგნარის საჯარო სკოლა, ფშავ-ხევსურეთი—ალისუბნის №2 და ჩხარის №2 საჯარო სკოლა, კახეთი—თერჯოლა №2, ქვ. სიმონეთის №2 და ღვანკითის საჯარო სკოლა, სამეგრელო—ბარდუბნის და გოგნის საჯარო სკოლა, გურია—თერჯოლის №1 და ძევრის საჯარო სკოლა, სამცხე-ჯავახეთი—ალისუბნის №1 და ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა, იმერეთი—ახალთერჯოლის და ნახშირღელის საჯარო სკოლა, აჭარა—ეწრის და სიქთარვის საჯარო სკოლა, რაჭა—გოდოგნის და ზედა საზანოს საჯარო სკოლა, სვანეთი—ნაგარევის და რუფოთის საჯარო სკოლა, აფხაზეთი—თუზის საჯარო სკოლა და „მზეკაბანი“.

სიმბოლური გზა თბილისიდან—აფხაზეთამდე

„საქართველოს კუთხეების“ დასათვალიერებლად მსვლელობა „თბილისიდან“ დაიწყო და „ცრემლს რომ ოდნავ აღემატება“, „ხელის გულზე დასატევ“ აფხაზეთის კუთხეში დამთავრდა, ეს იყო სიმბოლური გზა.

ნეტა მალე დადგეს დრო, ეს „შესვლა“ იყოს არა სიმბოლური, არამედ რეალური—ეს ფიქრი სდევდა ალბათ ყველა აქ მყოფს.

* * *

კუთხეების დათვალიერებისას მოხდა კონკურსებში გამარჯვებულთა დაჯილდოება, სამადლობელი ბარათების გადაცემა. ამ ჯილდო-სიგელების გადაცემაში ქალბატონ ქეთევანს ეხმარებოდნენ მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელი მუშაკები, რაც ერთგვარ ღირსებას ჰმატებდა ამ გადაცემებს.

ყველა სუფრა, გამორჩეული, ტრადიციული იყო. საქართველოს შესაბამისი კუთხეებისათვის დამახასიათებელი კერძებით, გაფორმებით, მხატვრული ნომრებით, მინი სპექტაკლებით, კულტურით, თითოეულ კუთხეს ჰყავდა თამადა—ქართული სუფრის მშვენება.

დათვალიერებული იქნა ყველა, თორმეტივე კუთხე. ერთ სივრცეში ჩატეული მთელი საქართველო და ერთხმად აღინიშნა თითოეულის განსხვავებულობა და თავისებურება. ე.წ. ჟიური, შემფასებელი კომისია კი შეირჩა, მაგრამ მიღებულ იქნა სწორი გადაწყვეტილება, ადგილები არ განაწილდა, აქ ყველა გამარჯვებულად გამოცხადდა, ყველაფერი „შეეხმატკბილა“ ერთმანეთს. „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი, ოდელა, დელა დელაო“—ისმოდა კუთხეებიდან. ერთხმად აღინიშნა პროექტის „ჩონგური საქართველოა“-ს განხორციელების მაღალი დონე, რესურსცენტრის, სკოლების დამოკიდებულება პროექტზე მუშაობისას.

კუთხეების დათვალიერება, ნაირნაირი კერძების დაგემოვნება დიდხანს გაგრძელდა. ყველგან შეისვა ერთიანი, ძლიერი, განუყოფელი საქართველოს სადღეგრძელო, ჩონგურს ისევ უნდა გავუბათ სიმები, შევხმატკბილდეთ, ერთი სიმიც რომ გაწყდეს ვუშველოთ, ჩვენ, საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებმა, რომლებიც საქართველოს წარმოვადგენთ.

„დღეიდან ქართველი ერი სუვერენული უფლებით აღჭურვილი ერია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო“—საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს, კვირას, ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთს გამოცხადებულ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პირველი პუნქტი, კუთხეებიდან ხმამაღლა ისმოდა.

* * *

ღონისძიებას მხარს უჭერდნენ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, ლიბერთი ბანკი, გამოიკვეთა სკოლების და მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების ერთიანობა.

კონკურსის მონაწილეებს გადაეცათ კალენდარი, რომელშიც შესულია ხატვის კონკურსში მონაწილე მოსწავლეების ნახატები, გარეკანი გააფორმა ნახშირღელის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლემ ანა ბერძულმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა სპეციალისტმა მაია რობაქიძემ, თუმცა მაიამ სხვაც ბევრი გააკეთა...

☞8

სამეგრელო—ბარდუბნის და გოგნის საჯარო სკოლები

გურია—თერჯოლის №1 და ძევრის საჯარო სკოლები

სამცხე-ჯავახეთი—ალისუბნის №1 და ზედა სიმონეთის საჯარო სკოლები

იმერეთი—ახალთერჯოლის და ნახშირღელის საჯარო სკოლები

გოგნი თვალის ერთი გადავლებით

სოფელი გოგნი ერთ-ერთი მაღალმთიანი და რთული რელიეფის სოფელია მუნიციპალიტეტში. სწორედ ეს მთები და ხევ-ხუვები, ანკარა წყაროები და დამრეც ფერდობიანი სავარგულები განაპირობებენ სოფლის შნოს და ლაზათს. აღარაფერს ვამბობთ საეკლესიო ძეგლზე, გოგნის კარუგდებელზე, სადაც გიორგობა დღეს და არა მარტო, მილეთის ხალხი მოდის სალოცავად.

ვისაც დაუგემოვნებია დაგვეთანხმება, რომ შეუდარებელია გოგნელთა პურმარილის გემო და ლაზათი ჯონჯოლის დელიკატესით...

გოგნი თავისი გამრჯე ადამიანებით ცხოვრობს დღეს, ისე როგორც მაღალმთიანი სოფლების მცხოვრებნი მთელს საქართველოში, თავისი სიხარულით და დალხინებით, თავისი ტკივილებით და იმ უამრავი პრობლემით, რომლებიც საერთოდ აქვს ჩვენს ხალხს ათასჭირგამოვლილ და აღორძინების გზაზე დამდგარ ქვეყანაში.

რა გასაკვირია თუ რაიონული ცენტრიდან, სიშორის გამო, რედაქციის მუშაკებსაც გვიჭირს უშუალო კომუნიკაცია (მობილურ კავშირს არ ვგულისხმობ). გვქონდა საშუალება ამას წინათ, ქუთაისიდან მომავლებს, სოფელ გოგნში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს დავით რობაქიძეს დავმგზავრებოდით. შემთხვევა ხელიდან არ გაგვიშვია და გავესაუბრეთ სოფლის სადღეისო ვითარებაზე: რა კეთდება სოფელში, სხვადასხვა პროგრამით, რომ აქაურებს ცხოვრება გაუიოლდეთ, რაა ის არსებითი პრობლემები, რომელიც სოფელს

აწუხებს.

თავისი დღე და მოსწრება სოფელს უგზოობა ტანჯავდა, თავისი მნიშვნელობით ისტორიული იყო, როცა ჩხარი-გოგნის შემაერთებელი მონაკვეთი გაკეთდა და სოფელი უმოკლესი გზით დაუკავშირდა რაიონულ ცენტრს. ბოლო წლებში ძირითადში მთლიანად გადაიჭრა გზის პრობლემა. სულ ახლახანს



მოიხრეშა და კეთილმოეწყო ჭანტურიძეების და ტოფაძეების უბნის, სოფლის ცენტრთან შემაერთებელი გზა. დასრულების ფაზაშია სოფლის ცენტრის, თერჯოლა-ტყიბულის ცენტრალურ გზასთან მიერთების სამუშაოები.

ასევე მთლიანადაა მოგვარებული სოფლის მცხოვრებთა სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხი. ძირითადი მაგისტრალი მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის გამგებლობაშია, იგი უწევს საჭიროების შემთხვევაში კონტროლს სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას. არის ცალკეული უბნები, სადაც ბუნებრივი წყაროებიდან გვყავს მიყვანილი წყალი. ამ წყალგაყვანილობის მოვლა-პატრონობას უშუალოდ ჩვენ, მერიის წარმომადგენლობა ვუზრუნველვყოფთ.

მერიის დახმარებით, სპეციალური პროგრამის ფარგლებში, არაერთ სოციალურად დაუცველს შევუკეთეთ ბინა. ამჟამად დამთავრების ფაზაშია ბინა რობაქიძის ოჯახისა.

სოფლის ცენტრში შენდება ფეხბურთის მინიმოედანი, აქვე გაკეთდება ტრენაჟორები მცხოვრებთათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ფიზიკური აქტივობისათვის. ვაგვარებთ პატარ-პატარა პრობლემებს, რომლებიც ყოველდღიურია სოფლისათვის...

გოგნში ნათესავები მყავდა—ტოფაძეები, ერთ-ერთი ძლიერი ოჯახი იყო სოფელში, ჩვენდა სამწუხაროდ (თავად ღმერთმა ულხინოთ) ჯერ კიდევ ადრე თბილისში გადასახლდნენ შვილები, შემდეგ მშობლებიც წაიყვანეს. ამ ფაქტიდან გამომდინარე ბატონ დავითს სოფლად დემოგრაფიულ სიტუაციაზე ვეკითხებით.

პრობლემა, მეუბნება ჩემი ინტერვიუერი, გლობალურია ქვეყნის მასშტაბით და რა გასაკვირია თუ მაღალმთიანი სოფლების მცხოვრებნი გაიკრიფებიან სხვაგან სამუშაოდ და ოჯახის გამოსაკვებად. იმ გვარიდან, რომელიც თქვენი თითქმის აღარავინ დარჩა სოფლად, სხვა გვარიდანაც არაერთი წავიდა. ყველაზე ნათლად მიგრაციასა და დემოგრაფიულ სიტუაციაზე სკოლის სადღეისო ვითარება მეტყველებს. გოგნში მოსწავლეთა რიცხვი 38-სღა შეადგენს, რომელთა სწავლა-აღზრდის საქმეს 19 პედაგოგი ემსახურება (?!).

ზაფხულობით ჩამოდიან ხოლმე დასასვენებლად სოფლიდან თბილისში და სხვა ქალაქებში წასულები. აჟივჟივდება სოფელი და გინდა სულ ასე იყოს. რომელი კურორტი შეედრება ჩვენს სოფელს.

ქვეყნის აღორძინების კვალობაზე, ვიმედოვნებთ გოგნსაც დაუბრუნდება თავისი მიგრანტები, გამრავლდება ოჯახები და შესაბამისად გაძლიერდება სოფელი.

იმ პროგრამების რეალიზაციამ, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება სოფლის განვითარებისათვის ეწევა, არ შეიძლება დადებითი შედეგი არ გამოიღოს.

უცხოელი სტუმრები „გოგიტას მარანში“

ღვინის დიდი გზა თერჯოლის მუნიციპალიტეტზე გადიოდა ადრეც და რა გასაკვირია თუ ახლაც გადის. თერჯოლა ხომ მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი იყო დაარსებიდან. ჩვენებურ ციცქა-ცოლიკაურს ბადალი არ მოეძებნება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ სწორედ ციცქაა შეუდარებელი მასალა საშამპანურედ.

შემთხვევითი არ იყო, რომ რაიონში, 5 ღვინის ქარხანასთან ერთად, შამპანური ღვინის კომბინატი ახდენდა ყურძნის გადამუშავებას და მაღალხარისხოვანი ღვინო-მასალების გამოშვებას. ყურძნის უნიკალური ჯიშების ღვინოები ჩამოისხმებოდა თერჯოლის საკონსერვო ქარხანაში.

ცნობილ მიზეზთა გამო, აღნიშნულმა ქარხნებმა ფუნქციონირება შეწყვიტა. მათ საქმიანობას სადღეისოდ ინდმეწარმეები და კოოპერატივები აგრძელებენ, თუმცა არა იმავე ტემპით და მოცულობით. მუნიციპალიტეტში გამავალ

ცენტრალურ გზაზე გამვლელი ყურადღებას მიაქცევს ფირნიშებს წარწერებით—ღვინის გზა, ამის და ამის მარანი; თუ ამ გზას გაყვებით უეჭველად მიგიყვანთ რომელიმე ღვინის კოოპერატივში ან ინდსაწარმოში, სადაც შეგიძლიათ მაღალხარისხოვანი ღვინო (ბიოპროდუქტი) დააგემოვნოთ და შეიძინოთ კიდეც. ქალაქში ერთ-ერთი მათგანია „გოგიტას მარანი“, რომელსაც არა მარტო ღვინის ადგილობრივი გურმანები, არამედ უცხოელი ტურისტებიც სტუმრობენ და კმაყოფილნი რჩებიან ღვინის მაღალი ხარისხით.

გვქონდა საშუალება ამ ახალგაზრდა, თვითნასწავლ მეღვინეს გავსაუბრებოდით და უშუალოდ მოგვესმინა მისი ნაუბარი ინდსაწარმოს ფუნქციონირების შესახებ.

ვაზთან ურთიერთობა—გვეუბნება გოგიტა, ჩემს მშობლებს და წინაპრებს ისე, როგორც ნებისმიერ იმერელს, მუდამ ჰქონია და როცა წამოვიზარდე, იმთავითვე განვსაზღვრე ჩემი სამუშაო ადგილი და მომავალი საქმიანობაც, ვაზის გაშენება, მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოება და რეალიზაცია. ვენახი სრულ მოსავალს მე-5 მე-6 წელს იძლევა, ამიტომ ბევრი დღესდღეობით თავს აღარ იწუხებს ამდენი წლის ლოდინით და ისეთ კულტურებს ირჩევს იმავე წელს რომ იძლევა მოსავალს. პირადად მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი ვაზის გაშენება და დღეს ჩემს გამგებლობაში მყოფი 5 ჰა ფართობიდან 2,5 ჰექტარზე უკვე მაქვს სრულ მსხმოიარე ვენახი ისეთი გავრცელებული ჯიშებით, როგორიცაა: ციცქა, ცოლიკაური, დონდღლაბი, უნიკალურიდან: ოცხანური, ძელშავი, ალადასტური. 2014 წელს, რომ იტყვიან, გამიმართლა და სახელმწიფო გრანტი მივიღე, რომლითაც ძირითადში გავმართე წარმოება. მაშინ კოოპერატივად ვიყავით ჩამოყალიბებული და ეს დიდი საქმე იყო. შევიძინეთ მანქანა, ტრაქტორი, ღვინის ჩამოსხმისათვის საჭირო დანადგარები...

ღვინოს ვაყენებ, როგორც მამა-პაპურად ქვევრებში, ისე არატრადიციულად სპეციალურ ჭურჭლებში. ღვინოს ვასხამ შეძენილ ბოთლებში ჩემი ეტიკეტით, მეტად ლამაზადაა გაფორმებული. აქვე დავსძენ, რომ ჩემს მიერ წარმოებული ღვინომასალები ბიოპროდუქტია, მიწას ვანოყიერებ ორგანული სასუქით, შესაწამლად ვიყენებ მხოლოდ კონტაქტურ პრეპარატებს...

ავტოსადგურის ტერიტორიაზე, ცენტრალური გზის პირას გაკეთებული მაქვს ფირნიში წარწერით—„გოგიტას მარანი“.

ამჯერად, როგორც ინდმეწარმე ისე ვაგრძელებ მუშაობას. ჩემი მარნის სტუმრები გარდა ადგილობრივისა, არიან უცხოელი ტურისტები ევროპიდან და აზიიდან. ამას წინათ ინგლისელმა ტურისტებმა დააგემოვნეს ჩემი მარნის ღვინო და ძალიან მოიწონეს. იყვნენ ჩინელები, ყაზახები...

მაქვს ცხადია უახლესი თუ შორეული გეგმები. კერძოდ, უკვე ავაშენე კოტეჯი სტუმრებისათვის, როცა მოვაწყობ მივაღწევ იმას, რომ ჩემი მარნის სტუმრები სხვაგან არსად წავიდნენ ღამის გასათევად და გამოსაკვებად. მთელ 5 ჰექტარზე გავაშენებ სხვადასხვა ჯიშის ყურძენს, მივიღებ მონაწილეობას ღვინის ფესტივალებსა და გამოფენებში. „გოგიტას მარნის“ ღვინის პროპაგანდის მიზნით, კიდევ უფრო სრულყოფილს გავხდი ჭურ-მარანს, იმერეთისათვის დამახასიათებელი ატრიბუტით.

ყოველივე ამას სოლიდური სახსრები სჭირდება და კარგი იქნება თუ საკუთართან ერთად დახმარებას მივიღებთ სახელმწიფოდან შესაბამისი პროგრამით. ამ კუთხით ბევრი რამ კეთდება, მაგრამ როგორც კოოპერატივს, ისე ინმდმეწარმეებსა და განსაკუთრებით ოჯახურ ბიზნესს მეტი დახმარება სჭირდება, მევენახეობა-მეღვინეობა ყოველთვის განმსაზღვრელი იყო, როგორც მუნიციპალიტეტის, ისე ქვეყნის ეკონომიკაში და სასურველია ასეც იყოს მომავალში.

დაინტერესებული პირები დაწვრილებით ცნობებს, ჩემი მარნის შესახებ ნახავენ ფეისბუქ და ინსტაგრამ გვერდზე „მაკარიძის მარანი“.

გვერდის ავტორი

ი. ერაძე

გზა პარლამენტისკენ

არაერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო პროექტი ხორციელდება მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დებატ-კლუბში 2011 წლიდან მოყოლებული, რომელსაც ქალბატონი დარეჯან მემანიშვილი ხელმძღვანელობს. აქ საინტერესო თემებზე საინტერესოდ მსჯელობენ და პაექრობენ ახალგაზრდები. წლის განმავლობაში გამოვლენილი წარმატებული მოსწავლე გუნდები საბოლოოდ ჩემპიონატის შემაჯამებელ შეხვედრაზე თავიანთ შეხედულებებსა და მოსაზრებებს დამაჯერებელი არგუმენტების საშუალებით განამტკიცებენ და გამარჯვებულიც ის გუნდი ხდება, რომელსაც, ჩემპიონატის ჟიურის აზრით, მეტი სწორი არგუმენტით შეუძლია მოცემული თეზისის უარყოფა თუ განმტკიცება. ყოველი დებატი, რომელიც წლის განმავლობაში მიმდინარეობს, აქტუალური თემატიკიდან გამომდინარე, მრავალმხრივ საინტერესოა და მოსწავლეთა ჩართულობა და განწყობა შესაბამისად სახალისოა, მრავალისმომცემი თითოეული მოდებატისათვის.

ასე იყო დებატი—2023-ის შემთხვევაშიც. სასწავლო წლის განმავლობაში დებატებში ჩართული 14 გუნდის 168 მონაწილე იბრძოდა გამარჯვებისათვის.

დებატი-2023 „გზა პარლამენტისაკენ“ 30 მაისს დასრულდა. მერიის სხდომათა დარბაზში გაიმართა ცენტრის დებატის ჩემპიონატის შემაჯამებელი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ წლის საუკეთესო მოდებატეები მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან, მოდერატორი და კლუბის ლიდერი ბავშვები.

შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ აგრეთვე სკოლის დირექტორები, პედაგოგები, მშობლები.

დებატები საინტერესოდ მიმდინარეობდა,

თითოეულ მოდებატეს თავისუფლად შეეძლო აზრის გამოხატვა.

აშკარად გამოიკვეთა ჩემპიონატის შედეგები. გამოვლინდნენ საუკეთესო მოდებატეები.

ჩემპიონატის მონაწილეებსა და გამარჯვებულებს მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ მიმართა და შემდგომშიც წარმატებები უსურვა და მერიის სახელით სამახსოვროდ წიგნები გადასცა. **„მოხარული ვარ, რომ მთელი წლის განმავლობაში ვმასპინძლობდით აღნიშნულ პროექტს, დებატები საინტერესოდ მიმდინარეობდა და რაც მთავარია თქვენ შეძელით თქვენთვის სასურველი, საინტერესო თემების წარმოჩენა. მინდა ისევ გიხილოთ ოპონენტების რანგში მოდებატენი, ჩვენი მუნიციპალიტეტისა და თქვენთვის მნიშვნელოვან საკითხებზე“**—ბრძანა მან.

დაიგეგმა დებატის ფორმატში შეხვედრა თემაზე „ახალგაზრდების ხედვა თერჯოლის თვითმმართველობის განხორციელებაში“, რომელიც გაიმართება უახლოეს პერიოდში და მასში მონაწილეობას მიიღებენ თემით დაინტერესებული ახალგაზრდები.

წარმატებულ მოდებატეებს, რომელთაც თავიანთ ინტერესსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ელისო მურადაშვილმა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელმა ნინო ოქროაძემ სერთიფიკატები გადასცეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს.

წარმატების სივრცე

მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი, ის დაწესებულებაა, სადაც ყველაფერი კეთდება, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობა, რომელიც სკოლის პარალელურად აქ მოდის საზოგადოების ღირსეულ, ყოველმხრივ განვითარებულ, ზნეკეთილ მოქალაქეებად აღიზარდონ.

არაფორმალური სწავლების თანამედროვე მეთოდებით შედგენილი, პრიორიტეტების სამი მიმართულებით კვალიფიცირებული „ცენტრის“ პროგრამების თემატიკა შინაარსი და აქტივობები მორგებულია სამოქალაქო საზოგადოების ინტერესებს და მოსწავლეთა შესაძლებლობებს მათი მოთხოვნების, საჭიროებების, სურვილებისა და ინტერესების შესაბამისად.

იუნესკოს განმარტებით არაფორმალური განათლება არის განათლება, რომელსაც აქვს ამოცანები და განათლების მიმწოდებლის მიერ შემუშავებული გეგმა. მისი მთავარი ღირსებაა, რომ მას აქვს დამატებითი შემავსებელი ალტერნატიული ფუნქცია ფორმალური განათლებისთვის ინდივიდის მუდმივი განათლების გზაზე.

არაფორმალური განათლება იძლევა არა მხოლოდ ცოდნას, არამედ ისეთ უნარებს, რაც ცხოვრების გზაზე მრავალმხრივ მნიშვნელოვანია, მაგალითად კომუნიკაციას, გუნდურობას, შემოქმედებითობას, კრიტიკულ აზროვნებას და სხვა. აღნიშნული უნარები ხელს უწყობს ადამიანის საზოგადოებაში წარმატებით ინტეგრაციას და მის რეალიზაციას. მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურმა ცენტრმა დაგეგმა საინფორმაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში. ეს პროგრამა შეთანხმდა თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და მათთან თანამშრომლობით შეადგინეს სკოლებში გასვლის საორგანიზაციო და ფინანსური გეგმები. დაეკონტაქტნენ სკოლებს, შეაჯერეს ინტერაქტიული შეხვედრა გაკვეთილები. გააკეთეს ანალიზი ამ შეხვედრის სუსტი და ძლიერი მხარეების და ორივე, ფორმალური და არაფორმალური განათლების საჭიროების შეფასება.

ცენტრში არსებული კლუბების მრავალფეროვანი პროექტები იძლევა საშუალებას საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახდეს ყველა ასაკის ადამიანისათვის. მასში ჩართულია საჯარო სკოლების მოსწავლეთა კონტიგენტის დიდი ნაწილი, თუმცა ცდილობენ ამით არ დაკმაყოფილდნენ და მისაწვდომი გახადონ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ახალგაზრდისთვის. ამისათვის პირველ რიგში მათი ინფორმირებაა საჭირო და შემდგომ დროში გათვლილი შეთანხმებული მოსახერხებელი სამუშაო პროცესი, რომელსაც იქვე საჯარო სკოლებში გეგმავენ და განახორციელებენ. მოსწავლეები ერთვებიან კლუბებში ძირითადად მსმენელებად, ერთვებიან მონაცვლე გრაფიკის მსმენელად, აგრეთვე აქტივობებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებში და ასე შემდეგ, წლის ბოლოს ადგენენ ჩვენ საქმიანობაში ჩართული სკოლების რეიტინგულთა სკალებს და გამოავლენენ ამ მხრივ სკოლების ადგილს არაფორმალურ განათლებაში, სადაც გამოკვეთილია კრიტერიუმები, რომლითაც ფასდებიან სკოლის, მაგ. ა) ბავშვთა რაოდენობა ძირითად ჯგუფებში; ბ) ბავშვთა რაოდენობა აქტივობებში; გ) მანძილი და მისვლის სირთულე სკოლიდან ცენტრამდე.

ალტერნატიული საქმიანობის პროგრამის ფარგლებში 2022-2023 სასწავლო წლის პირველ ნახევარში გასვლა დაგეგმეს და განახორციელეს თუზის, ეწრის, ზედა სიმონეთის და ქვედა სიმონეთის №1 საჯარო სკოლებში, სადაც მონაწილეობა მიიღეს რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ქეთევან შეყრილაძემ, ცენტრის დირექტორმა ქალბატონმა ნინო ოქროაძემ, ცენტრის მენეჯერებმა, ცენტრის პედაგოგ-კოორდინატორებმა, საჯარო სკოლის პედაგოგებმა, მშობლებმა და უფროსკლასელებმა, სულ 288 ადამიანმა. წლის მეორე ნახევარში კიდევ ხუთი შეხვედრა გაიმართა რუფოთის, ღვანკითის, ქვედა სიმონეთის №2, სიქთარვის და ბარდუბნის საჯარო სკოლებში. არაფორმალური განათლება ფართოდაა გავრცელებული თითქმის ყველა ქვეყანაში და მოსწავლეთა ცენტრის ფორმატის დაწესება განსაკუთრებულია სწორედ ამ ტიპის წარმატების სივრცის შესაქმნელად. ცენტრის მიერ დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება, ხელისუფლების მხარდაჭერა და საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ურთიერთობის მაღალი კულტურა იძლევა წარმატების საფუძველს.

მზია ცქიფურიშვილი

პირველი გამოშვება ახალ საბავშვო ბაღში ზედა საზანო

წლების განმავლობაში მათი ცხოვრება შევსებული იყო თამაშით, მეცადინეობით, შრომა-საქმიანობით, მუსიკით, ცეკვა-სიმღერით, სხვა სარეჟიმო მომენტებით და აქტივობების სხვა სახეობებით, რომელიც ბავშვთა აღზრდა-განვითარებას ემსახურება, ახლა საზანოს ბაგა-ბაღის მზაობის ჯგუფის 8 აღსაზრდელი: თამთა გიორგაძე, ელენე ვარდოსანიძე, ლიზი სუთიძე, მარიამ ჩუბინიძე, მათე ჩუბინიძე, ქრისტინე ჭანტურიძე, იოსებ ჩუბინიძე, ნენე ჭანტურიძე უკვე ამყარებენ კონტაქტს ერთმანეთთან, საუბრობენ, ახერხებენ გამოაჩინონ საკუთარი თავი, გამოიჩინონ ინიციატივა, აზროვნებენ, აქვთ განსაზღვრული მოცულობის ცოდნა გარემომცველ საგნებსა და მოვლენებზე, იციან თვლა-ანგარიში, ასო-ბგერები, ცეკვავენ, მღერიან, ჰყვებიან ლექსებს, დგამენ პატარა ინსცენირებებს...

სექტემბერში მზაობის ეს ჯგუფი—საზანოს სკოლის პირველ კლასში მივლენ, მათი პირველი მასწავლებელი თეა ჩუბინიძე იქნება, წიგნს—წიგნს უპირველესს და უსაყვარლესს—დედაენას გადაშლიან, თეა მასწავლებელი კი აი-იას შეასწავლით.

ეკა მაჩიტიძეს—მზაობის ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგს ბევრი უმუშავნია, არ არის ადვილი, სრულიად გაუთვითცნობიერებელი 3-4 წლის, თოჯინებივით პატარები იმ ცოდნამდე მიიყვანო, როგორებიც ნახა იგი ბაღის გამოშვების ზეიმზე არა ერთმა და ორმა სტუმარმა, მრავალმა დამსწრემ, კმაყოფილებას ვერ ფარავდნენ მშობლები, ბებია-ბაბუები, სტუმრები.

„ეს დღე ჩვენია“— „მომავალი იწყება აქ“

მზაობის ჯგუფის გამოსაშვები საღამო საზანოს ბაგა-ბაღის გამგემ მაია ჭანტურიძემ გახსნა, მან მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს, შეკრებილ საზოგადოებას, კმაყოფილება გამოთქვა ახალი ბაგა-ბაღის აშენების გამო, თქვა რომ ეს გამოშვება პირველი თაობაა ახალ ბაღში, რომ კიდევ მრავალი თაობა გაიზრდება ამ კედლებში და არ დაივიწყებენ იმ ზრუნვასა და ყურადღებას, რასაც მათდამი იჩენენ აღმზრდელები, ბაღის თითოეული თანამშრომელი. ისინი დაიზრდებიან და გააცნობიერებენ ბაგა-ბაღის აშენების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მათი შემდგომი თაობისათვის.

ლამაზად იყო მორთული გარეთ მოწყობილი სცენა, პატარა გოგო-ბიჭები თავისუფლად, ძალდაუტანებლად აკეთებდნენ მოძრაობებს, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ირგებდნენ როლებს...

ზეიმი ფეიერვერკმა დაასრულა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, პირველი მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, მერიის სამსახურების ხელმძღვანელები და თანამშრომლები: ლაშა ლანჩავა, მარიამ ქველიძე, სოსო ჩაფიჩაძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით გოგბერაშვილი, მოადგილე ნინო ჩხიკვაძე, სხვა დეპუტატები და თანამშრომლები, სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ხელმძღვანელი მაია თორთლაძე და ცენტრის თანამშრომლები, საჯარო სკოლის დირექტორი მამუკა მექვაბიძე, მერის წარმომადგენელი სოფელში გიორგი ჩუბინიძე, მშენებელი ფირმის ხელმძღვანელი მევლუდ გეწაძე და სხვა მშენებლები, აღსაზრდელთა მშობლები.

„ყოჩაღ და მადლობა, კარგები იყავით“—უთხრა ბატონმა მანუჩარმა ზეიმის მონაწილეებს და მოეფერა მათ. მადლობა გადაუხადა ბაღის დირექტორს მაია ჭანტურიძეს და სხვა თანამშრომლებს, მშობლებს, ხაზი გაუსვა ბაღის ყოფილი გამგის ქალბატონი თინათინის ღირსეულ წასვლას თანამდებობიდან და რიგით დარჩენის მის სურვილს. აღნიშნა, რომ გაერთიანება კარგად მართავს ბაღებს. სიტყვით გამოვიდა მაია თორთლაძე, დავით გოგბერაშვილი, მევლუდ გეწაძე—ბაღი მოვლილია, რაც ხშირად არ ხდებაო—თქვა მევლუდმა.

ღონისძიების მსვლელობისას და შემდეგაც პატივი მიაგეს ლაშა გოგიაშვილის ხსოვნას, ხაზი გაუსვეს მის დამსახურებას ამ ბაღის მშენებლობაში.

მოწვეულმა სტუმრებმა აღსაზრდელებთან ერთად სურათები გადაიღეს, კარგი დღე იყო, დასამახსოვრებელი.

ჟუჟუნა ცხადაძე

მონატრების ტკივილი

ირაკლი დოლაკიძე

ჩემო ირაკლი, 12 ივნისს შენი დაბადების დღეა. დღეს ძალიან ვაფასებ იმ მოგონებებს, რომლებიც ერთად შევქმენით. შენ ხომ ჩემი მფარველი იყავი შეხვედრის დღიდან.

არ არსებობს სიტყვები, რომ გამოვხატო ჩემი სულის ტკივილი. დიდი მწუხარება ვერ გაიზომება, ცრემლით ვერ ივსება, ჩემთან არ ხარ, მაგრამ ჩემს გულში მარადიულად ცხოვრობ. ცხოვრებიდან ძალიან ადრე წახვედი, ვერ დაგემშვიდობე... ვაგრძელებ ცხოვრებას, მაგრამ ძალიან მიჭირს, მხოლოდ ლოცვა მეხმარება მწუხარებაში.

სიკვდილით განშორების ტკივილი განუკურნებელია, მაგრამ როცა მონატრება პიკს აღწევს, სიზმრად აუცილებლად მეწვევი...

მიჭირს გახსენება იმ დღის, როცა ჩემგან წახვედი. ფიქრობ და ველარ ხვდები რა უნდა გააკეთო. ჭკუიდან გშლის უძლურება, რომ არაფრის შეცვლა არ შეგიძლია. გახსენდება ყველაფერი რაც ამ დღემდე იყო და თანდათან ხვდები, რომ უკვე ყველაფერი დამთავრდა...

ჩემო ირაკლი, 5 წელი გავიდა, რაც მიმატოვე, მაგრამ შენი არყოფნის ტკივილი ისევ ჩემთანაა. შენს გარეშე ცხოვრება რთულია, მაგრამ შენს ხსოვნას ყოველთვის ცოცხლად ვინახავ გულში...

არასოდეს მიფიქრია, რომ უშენოდ მომიწევდა ცხოვრება. ყოველდღე მენატრები. მინდა ვირწმუნო, რომ მშვიდად ხარ იმიერში...

რუსუდან უსუფაშვილი

„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო!“

5 ☞

აჭარა—ეწრის და სიქთარვის საჯარო სკოლები

რაჭა—გოდოგნის და ზედა საზანოს საჯარო სკოლები

სვანეთი—ნაგარევის და რუფოთის საჯარო სკოლები

აფხაზეთი—თუზის საჯარო სკოლა და კერძო სკოლა „მზეკაბანი“

გუნდური მუშაობის თემაზე შეკითხვას სკოლებმა ასე უპასუხეს

თერჯოლის №1, ძევრის საჯარო სკოლები

ჯერ კიდევ ხმიანობს პოზიტიური განწყობის ექო...

სპორტის სასახლის მიმდებარე სივრცე იყო ფერადი, სიხარულითა და ჟრიამულით სავსე. რესურსცენტრის ორგანიზებით განხორციელებული სარაიონო პროექტის „ჩონგური საქართველოა“ დასკვნით ეტაპს შეიკრიბა მონაწილე სკოლები, საგანმანათლებლო სისტემა თვეების განმავლობაში მოსწავლე-მასწავლებელთა მიერ გაწეული შრომის შედეგებს აჯამებდა.

ამ ფერთა გამაში, საქართველოს კუთხეების ამ ლამაზ კრიალოსანში გამოირჩეოდა თერჯოლის პირველი და ძევრის საჯარო სკოლების წილხვედრი გურია, ეთნო-სიზუსტით გაცოცხლებული ეს საოცარი კუთხე...

ხეზე აცოცებულ მსხმოიარე ადესას ქვემოდან გიდელი ნდომით შეჰყურებდა, იქეთ გურული კალანდის ხილულ სურათს უზარმაზარი ღორის თავი ამშვენებდა. გურული მრავალფეროვანი სამზარეულოს შედევრები მადისაღმძვრელად ზიმზიმებდა. სივრცეს ამშვენებდა ამ კუთხისათვის დამახასიათებელი საყოფაცხოვრებო ნივთები, თივის ბუდელები, ფარატინა ღობის ფრაგმენტები, ღვიოდა საველე სამზარეულო, ქუხდა მუსიკა, ორიგინალური ბანერებიდან გვიცქეროდა გურიის ადამიანური თუ მატერიალური სიმდიდრე... ამ დახვეწილ, გემოვნებიან და ხვავიან არეალს ბევრი დამთვალიერებელი ჰყავდა, რომელთა სახეზე იკითხებოდა ცნობილი გურული სიმღერის სტრიქონები:

„გურიაში მივალ მარა,
სულმა წინ-წინ გეიპარა“.

შთამბეჭდავი იყო ნამდვილი გურულის, მამა ქრისტეფორეს სტუმრობა, რომელმაც შეაქო და დალოცა ამ სილამაზის შემოქმედნი, რომლებმაც მას თავი მშობლიურ გარემოში აგრძნობინეს.

ბევრმა თერჯოლელმა, შინაურ-გარეულმა დააგემოვნა გურული სუფრა და მასპინძლობა, ხშირად ისმოდა აღტაცებული შეძახილები: „რა ყოფილა გურია“!

ჩხარის №1, ქვ. სიმონეთის №1—საჯარო სკოლები

ღონისძიებაში მონაწილეობის მიზანი იყო: პროექტის ფარგლებში ორი სკოლის გუნდური მუშაობის ხელშეწყობა და მეგობრობის გაღრმავება.

საერთო თემატიკიდან გამომდინარე, ჩვენი გუნდი მუშაობდა თბილისის ტრადიციებსა და კულინარიის ელემენტებზე და აქედან გამომდინარე გაეცვნენ მოსწავლეები ძველი თბილისის სუფრის კულტურასა და პეწს.

შეისწავლეს ძველი თბილისური მაგიდის სერვირების ელემენტები და კულინარიული დიზაინის შექმნის ხერხები.

აიმაღლეს საზოგადოებასთან ურთიერთობის და სტუმარ-მასპინძლობის უნარ-ჩვევები. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა ნამუშევრები თბილისის თემატიკაზე, ძველი თბილისური ეზოების ტრადიციები, ჩაის სმის კულტურის ელემენტები, ტივზე გაშლილი სუფრის ფრაგმენტები, ბარბარე ჯორჯაძის რეცეპტებით მომზადდა ტკბილეული, „ტარტალეტკები“ იგივე კალათები ხილითა და მურაბებით. შაქარლამის სვეტები კვაწარახისა და ნუშის საფენებლით, ტრადიციული თბილისური ტალხუნის ღვეზელები, სხვადასხვა ნუგბარი შემკობილი მიხაკ-დარიჩინის სუნელებით და სხვა კერძები.

დოკუმენტური მასალების მიხედვით ჩაის სმა თბილისში გამორჩეული ჭურჭლის გამოყენებით ხდებოდა, სხვადასხვა ხილის მურაბებით და სამოვრებით. შევეცადეთ ამ ფაქტსაც გაცნობოდნენ მოსწავლეები თბილისური გემოების ფონზე.

ჩაივლიდით მტკვართან ხეივანს და გაზაფხულის მაყრებივით გეგებებოდნენ უნიჭიერესი მოსწავლეები ორივე სკოლიდან, ყარაჩოღელები, კინტოები და თბილისელი ბანოვანები, შარდენის ქუჩისა და იტალიური ეზოების ფონზე...

ახალთერჯოლის და ნახშირღელის საჯარო სკოლები

ჩვენთვის განკუთვნილ ადგილას წარმოვადგინეთ იმერული ეზო თავისი ოდა სახლითა და მოწნული ღობით, ეზოს ერთ კუთხეს ამშვენებდა თონე, მეორე კუთხეს-იმერული ჭურ-მარანი. ეზოს მთელ სიგრძეზე გაშლილი იყო სუფრა, გულუხვი მასპინძელი სტუმრებს ელოდებოდა. მათაც არ დააყოვნეს. მასპინძელმა „ორღობეში“ მოჰკრა თვალი თუ არა სტუმრებს, წინ მიეგება, „აქეთ, ჩემთან წამობრძანდით, ჩემო ბატონო, ჭიქა ღვინო დამილიეთო.“ „მასპინძელი „ორღობეში“ შემომეგება და როგორ არ მოვიდოდიო,“—აღნიშნა ახალთერჯოლა-სიქთარვის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბატონმა ჯემალ ისაკაძემ. მამა-პაპური სადღეგრძელოს შემდეგ ლხინი გაიმართა. იმერულ ლექსს სიმღერა ცვლიდა, სიმღერას-ცეკვა. მოსწავლეების მიერ წარმოდგენილ პიესაში ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმოდა იმერული სტუმარმასპინძლობა და არისტოკრატიზმი, სიამაყე და სიხარული, წარსულის გახსენება და დღევანდელობით ტკბობა.

ბოლოს გვსურს მადლობა გადავუხადოთ თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელ ქალბატონ ქეთევან შეყრილაძეს საინტერესო პროექტის წამოწყებისა და განხორციელებისათვის; თერჯოლის მერიის წარმომადგენელს ახალთერჯოლის ტერიტორიულ ერთეულში ბატონ გიგა კუბლაშვილს თანადგომისათვის; ახალთერჯოლის საჯარო სკოლის აქტიურ მშობელს ქალბატონ ნანა ნიკოლაძეს მხატვრული გაფორმებისათვის; მოსწავლეებს: ნინო ქაშაკაშვილს, დავით კუხიანიძეს, საბა ქაშაკაშვილს, ნიკა დევიძეს, გიორგი თორთლაძეს, შოთა ჯაშს იმერული ყოფის ამსახველი რესურსების შექმნისათვის. „სახელს უმატეთ სახელი, ძვირფასი საბოძვარია.“

* * *

ღონისძიება საქართველოს ჰიმნით გაიხსნა და ჰიმნითვე დაასრულეს საქართველოს კუთხეებში.

ჟუჟუნა ცხადაძე

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: gazetiterjola@gmail.com

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872